* * * * * * *

ტიციან ტაბიძეს
2 იანვარი 1927 წ.
პარიზი

პატივცემულო ტიციან.

თქვენ ნიკო ფიროსმანაშვილის მონოგრაფიაში, სხვათა შორის, აღნიშნული გაქვთ, რომ ნიკო ფიროსმანიშვილზე დაიბეჭდა 1913 წელს გრიგოლ რობაქიძის წერილი რუსულ ენაზე, რომელიც ჩვენთვის პირველ წერილად უნდა ჩაითვალოს. ეს ცნობა აქაურ წრეებში იწვევს ეჭვს, ამიტომ დიდათ მადლობელი ვიქნები თუ ამ ეჭვის გასაქარწყლებათ, შემატყობინებთ იმ გაზეთის სახელს, ნომერს და რიცხვს, სადაც ეს წერილი იყო მოთავსებული. ამასთანავე გთხოვთ მაცნობოთ, რა საბუთი გაქვთ იმისი, რომ ლე-დანტიუ ფრანგი მხატვარია, როდესაც ცნობილია რომ ლე-დანტიუ რუსი მხატვარი იყო, ვინაიდან ეს საკითხიც აქ საკამათოდ არის.

დიდად დავალებული ვიქნები, თუ ამ ცნობებს მომაწვდით,

პატივისცემით დავით კაკაბაძე.

* * * * * * *